სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-02/178

„უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2025 წლის მეოთხე ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 04 სექტემბრის N01-02/166 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილების (ცვლილება 2025 წლის 21 აგვისტოს N07-01/25 გადაწყვეტილებით), „ბსუ-ს რექტორის ტიტე არუშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 19 სექტემბრის №01-14/532 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის 2025 წლის 22 სექტემბრის №1193449 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2025 წლის მეოთხე ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 04 სექტემბრის N01-02/166 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გასწორდეს ამავე ბრძანების **№2 დანართის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, გასაცემი თანხების ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის (მივლინების) დაფინანსებისათვის დასაქმებულზე 1 კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს: მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 3000 ლარს, პოსტერული მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 2000 ლარს, ხოლო ონლაინ მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 1000 ლარს.".

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — **გიორგი ქათამაძე**